ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 179
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ფოთი **„04“ ნოემბერი 2019 წ.**
ერთის მხრივ
ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური”ს/კ 215082764.
მისამართი: ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93.
საბანკო რეკვიზიტები: „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი: TRESGE22ა/ა: 707247519;
დირექტორი: რევაზ ბაბილუა (შემდგომში „შემსყიდველი“)
და მეორეს მხრივ
შ.პ.ს. “მწვანე სახლი“; ს/კ 205128226 ;

დირექტორი: მირიან მდივანი;
მისამართი: ქ. თბილისი,გორგასლის ქ N 52.

საბანკო რეკვიზიტი: სს „საქართველოს ბანკი“ BAGAGE22; ა/ნ GE08BG0000000126277400 GEL

(შემდგომში ”მიმწოდებელი”) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1„მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს „შემსყიდველი“–ს მიაწოდოს საქონელი ჩამონათვლის შესაბამისად:

№	CPV კოდი	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ ღირებულება
1	03441000	ყვავილი პრიმულა	ცალი	5000	0.50	2500.00
2	03441000	ყვავილი ფიკუსი	ცალი	2	40.00	80.00
3	03441000	ყვავილი კროტონი	ცალი	2	35.00	70.00
		სულ:				2650.00

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: 2650.00 (ორიათას ექვსასორმოცდათი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3 საქონლის მიწოდების ვადები

3.1 შესყიდული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 05 ნოემბრის ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

4.1. მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის: ანგარიშფაქტურის, სასაქონლო ზედდებულის და მიღება–ჩაბარების აქტის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში., წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში ლარში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლი“–ს მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს „შემსყიდველ“–ს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

6.5 მხარეების პასუხისმგებლობა:

ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საჯარიმო სანგციების გადახდა არ ათავისუფლებს ”მიმწოდებელს” ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“–სთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან **და** მოქმედებს 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

8.2 ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე **ორ** ეგზემპლარად.

8.4 “მიმწოდებელმა” “შემსყიდველის” წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს

8.5ხელშეკრულების დადების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ს[1] ” ქვეპუნქტი. (5000 ლარამდე შესყიდვა).

შემსყიდველის მხრიდან

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“–ს

დირექტორი : **რევაზ ბაბილუა**

LEPL State Hydrographic Service of Georgia

Digitally signed by LEPL State Hydrographic Service of Georgia
Date: 2019.11.04 16:55:24 +04'00'

მიმწოდებლის მხრიდან

შ.პ.ს. ” მწვანე სახლი “, დირექტორი: **მირიან მდივანი**

Mtsvane Sakhli LLC

Digitally signed by Mtsvane Sakhli LLC
Date: 2019.11.04 16:29:05 +04'00'